15-ს ივნისს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელსა.

ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲘ

№ 12.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Микеми“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდათ ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. იმერეთის ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ახალი ზედამხედველის დანიშვნის გამო.—ოთხ-კლასიან სასწავლებლის სამმართველოთა საყურადღებოდ.—კაი მოქმელს კარგი გამგონე უნდა.—ლექსი.—პაისტორიო მასალა.—ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში V.—სხვა-დ-სხვა ამბები ᲩᲔ შენიშვნები.—რას ამბობს?—ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲖᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. შესხმა, თქმული საქართველოს ექსარხოსის პავლეს მიერ, გენერალ-ადიუტანტის გრ. დ. ორბელიანის დასაფლავებაზე.—„გეორგინი“,—სიიდგან მიიღეს მღვდლებმა უფლება კურთხევის მიტემისა და რა მნიშვნელობა აქვს მათ კურთხევას?—გედრება ღვთის-მშობლისადმი.—ნარევი.—განცხადებანი.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲗᲮ-ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ბ. იაკ. Ფ—ძე სასულიერო მართებლობისაგან სრულებით დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობიდგან. ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲘᲡ ადგილზე დაინიშნა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ბ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲑᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ძე ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ჩვენ სასიხარულოდ მიგვაჩნია სასწავლებლის ზედამხედველად ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ დანიშვნა. სასიხარულოდ მიგვაჩნია პირველად მიტომ, რომ იგი ქართველია და მეორედ, მისთვის, რომ როგორც „დროება“ მოგვითხრობს, ბ. ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ცნობილი ყოფილა, როგორც კეთილ სინდისიანი და მშვიდი სასიათის კაცი, თავ-დაუზოგავი მშრომელი, თავ-დადებით მოყვარული თვისის საქმისა და ამასთან უანგარო. ჩვენ დროში ამისთანა თვისებაების კაცი სანთლით საძებარია და ყველანი დიდის სიხარულით უნდა მივეგებოთ ამისთანა სასწავლებლის ზედამხედველს. ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სამღვდელოება დიდი ხანია გულტკივნად უყურებს ერთად ერთს სასწავლებელს, რომლისათვისაც ლუკმის მოკლებას არ იშურნებს და, რასაკვირველია, სიხარულით მიეგებება ამისთანა ზედამხედველს...

ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სამღვდელოება, მართალია, ვერ იცნობს ბატონ ᲢᲐᲢᲘᲔᲕᲘᲡ, მაგრამ იმისთანა თვისების მექონე კაცს, როგორისთანასაც „დროება“ გვიხატავს ჩვენ ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, სიხარულით მიეგებება და მათ სიხარულს, რასაკვირველია, სამზღვარი არ ექნება, თუ ყველა მათი მოლოდინი გამართლდა. ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝ კაცი სამღვდელოებამ ვერ მონახა ზედამხედველად თავის სასწავლებლისათვის აქამომდე... ᲗᲘᲗᲝᲛ ᲝᲠᲝᲠᲘ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲒᲐᲘᲧᲝᲚᲐ!..

Kარგი დაგემართოს, კარგათ შედგენილი ჩვენი სასწავლებლის წესდება იყოს და მაგრათაც დამტკიცებული, მაგრამ არავინ ადგება, საუბედურო, ამ წესდებას. ამ წესდების კანონებს ათას ნაირი შემოსავლელი გზები გამოუჩინეს და თავისუფლად დადიოდნენ. სასწავლებლის სამმართველოში ხუთი წევრი იმყოფება ხოლმე; ამ ხუთ წევრში ორი სამღვდელოების მხრით არის აღრჩეული და ერთი მასწავლებლების მხრით. ყველა დაიმედებული უნდა იყოს, რომ საქმის მსჯელობა და გარდაწყვეტა კანონიერად უნდა მიდიოდეს, მაგრამ საქმით კი ხშირად სულ სხვა გამოდის. საქმე ისე კი არ სწყდება, როგორც ხუთ წევრს უნდათ, — საქმე თავდება ისე, როგორც ზედამხედველს სურს... წინააღმდეგობის გაწევას დიდი უსიამოვნება მოსდევს და, ამ დროში უჯამაგირო კაცი ამისთანა უსიამოვნებას ძლიერ ერიდება... ამით საქმე ფუჭდება; ნიჭიერი კაცი იჩაგრება, უნიჭო მაღლდება. ამას მოსდევს უსიამოვნება, უთანხმოება, სასწავლებლისათვის არა სასარგებლო მოქმედებანი და სამღვდელოების მხრით დიდი სამდურავი... რომ ამისთანა არა სანატრელი მოვლენათა ბოლო მოუღოს ზედამხედველმა და საუკუნოდ მოსპოს მასწავლებელთა შორის უთანხმოება, მოსწავლეთა შორის აღამაღლოს ზნეობრივი ცხოვრება და სამღვდელოების მხრით დაიმსახუროს მამა-შვილური სიყვარული, ამისთვის დიდი ცოდნა და დიდი სიბრძნე არ არის საჭირო. მან უნდა შეისწავლოს კარგათ სასწავლებლის წესდება და მტკიცედ ასრულებდეს მას ყოველ შემთხვევაში. ზნეობითი მხრით ზედამხედველი უნდა იყოს სახე, მაგალითი როგორც მასწავლებელთა, ისე მოსწავლეთათვის; ზედამხედველი ყოველთვის დიდ ყურაღღებას უნდა აქცევდეს პედაგოგიურ შეკრებილებაზე მასწავლებელთაგან გამოთქმულ სხვა-და-სხვა პედაგოგიურ მოსაზრებათა და მსჯელობათა; ეკანომიური მხრით თავის თავს უნდა დაუდვას სასტიკი კანონები, არა მიღებად უჯეროისა. ზედამხედველმა არ უნდა დაივიწყოს ის, რომ ის არის მოსამსახურე სამღვდელოებისა. სამღვდელოება მასაც აძლევს ყოველ წლობით სარჩოს და ამასთან აძლევს მას მთელი სასწავლებლისათვის სახარჯო ფულებს. ზედამხედველს არასოდეს არ უნდა მოდიოდეს გული, ამ სამღვდელოებამ რომ მას დანახარჯ ფულებზე ანგარიში მოსთხოვოს...

Rუ Იმერთმა ჰქნა და ყველა თავისი მოლოდინი სამღვდელოებას აღუსრულდა; თუ მართალი გამოდგა ყველა ის, რასაც „დროება" მოგვითხრობს ბ. ტატიევზე, მაშინ, რასაკვირველია, ყველას შეიძლებს იგი: სასწავლებელსაც ფეხზე წამოაყენებს, საერთო სიყვარულსაც მოიპოვებს, ადმინისტრაციულ ნიჭსაც გამოიჩენს და მთელ სამღვდელოებას გულითად პატივის ცემას და სიყვარულს დაიმსახურებს... ჩვენ დარწმუნებული ვართ თუ ბ. ტატიევი იმისთანა თვისების და ხასიათის კაცი გამოდგა როგორისთანასაც „დროება" გვიხატავს, მაშინ ყველა „მეჭორენი" და „ცილის მწამებლნი", „დროების" კორესპონდენტისაგან დასახელებულნი, თავს მოიხრიან მის წინაშე და შემწეობას აღმოუჩენენ. მას მის დიდ მოვალეობის აღსრულებაში...

ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების სამმართველოთა საყურადღებოდ.

Sასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლების წესდების 24 § მე-18 მუხლში სწერია: „სასწავლებლის წლიური ანგარიში უსათუოდ უნდა გამოცხადებულ იყოს „მპარხიულ უწყებაში" და თუ „მპარხიული უწყება" ანუ სხვა რამე სასულიერო გამოცემა არ არის, მაშინ წლიური ანგარიში ცალკე წიგნაკად უნდა იბეჭდებოდეს და ეგზავნებოდეს სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას". Oუმც წესდება, როგორც სჩანს, მოვალეთ ხდის სასულიერო სასწავლებლების სამმართველოებს, რომ ყოველი წლის ანგარიში დაბეჭდონ „მპარხიულ უწყებაში", ანუ ცალკე წიგნაკად და გაუგზავნოს სასწავლებლის ოლქის სამღვდელოებას და ამ სახით შეატყობიოს მასს, თუ რაში და როგორ დაიხარჯა სასწავლებელში მათგან შეტანილი ფულები, მაგრამ ხშირად ამისთანა სასწავლებლის წესდების კანონიერ მოთხოვნილებას არ ასრულებენ. მთელ საექსარხოსოში ექვსი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებელია. ამ სასწავლებლების შესანახავად თვითეული ოლქის სამღვდელოება დიდ ფულს ხარჯავს; ჟუთაისის სასულიერო სასწავლებლის პარალელური და მოსამზადებელი კლასების შესანახავად იმერეთის სამღვდელოება წელიწადში 12,000 მანეთს იხდის. რა ცოდვა იქმნება, რომ კაცმა ამდენი ფულების დახარჯვის ანგარიში აჩვენოს სამღვდელოებას. სასწავლებლის წესდებაც რომ ვალდებულად არ ხდიდეს სასწავლებლის სამმართველოს, ყოველი წლის სასწავლებლის ანგარიში შეატყობინოს სამღვდელოებას, ეს მაშინაც უნდა აღასრულოს მან, თორემ ეხლა რა უდგია წინ?

ჯართალია, აქამომდე არა გვქონდა სასულიერო გაზეთი, მაგრამ განა გაზეთ „დროების“ საშვალებით, ანუ ცალკე ბროშიურათ არ შეიძლებოდა ამისთანა ანგარიშების დაბეჭდვა? ჩვენ რამდენადაც გვახსოვს, ზოგიერთი სასულიერო სასწავლებლის ანგარიშები არას დროს არ ყოფილან დაბეჭდილნი. მართალია, რომ ზოგი სასწავლებლების წლიური ანგარიშები დაწერილნი წარედგინებიან ხოლმე სამღვდელოებას და ზოგ ადგილას ამ ბოლოს დროს კიდეც დაუბეჭდიათ, მაგრამ ეს ანგარიშები ისე გაუგებრად არიან შედგენილნი, რომ, ვგონებ, იმათ შემადგენელების მეტმა ვერავინ გაიგოს მათი ანგარიში. ამ ანგარიშებში ხშირად კითხულობს კაცი: „რუსული ენის მასწავლებლებზე დაიხარჯა 3465 მანეთი; შეშაში—300 მანეთი; მოსამსახურეებზე—200 მანეთ; ერის კაცის შვილების სასწავლებელი ფული შემოვიდა 1876—1881 წლამდე 9432 მანეთი და სხ.“ განა არ შეიძლება გარკვევით სთქვას კაცმა, თუ რუსული ენის მასწავლებელი რამდენი იყო, თვითეულს მათგანს რამდენი გაკვეთილი ჰქონდა კვირეში და გაკვეთილზე რა ეძლეოდათ მათ წელიწადში?..

Ოფრო სამწუხარო ის არის, რომ ზოგ სასულიერო სასწავლებელში ერის-კაცის შვილების სასწავლებელი ფული რამდენიმე ათას მანეთობით შემოდის წელიწადში, მაგრამ ამ ფულების ნამდვილ ანგარიშს სამღვდელოება ვერ ტყობილობს სასწავლებლის ანგარიშებიდგან. მაგალითად, ერთ ძუთ. სას. სასწავლებლის 1882 წლის ანგარიშში არის ნათქვამი: „1876-1881 წლამდე ერის-კაცის შვილებიდგან შემოვიდა 9432 მანეთი“. შეიძლება აქ სამღვდელოებამ ეჭვი შეიტანოს და სთქვას: „ამ ხნის განმამავლობაში 9432 მანეთი კი არა, 15,000 მანეთი უნდა შემოსულიყო“. ამ ეჭვს არ ექმნებოდა ადგილი, რომ ყოველ წლიურ ანგარიშში გარკვევით იყოს მოხსენებული ერთი წლის შემოსავალი ფული ერის-კაცის შვილებიდგან. ყოველი წლის ანგარიში ედგინება სამღვდელოებას კრებაზე, ამიტომ საჭირო არ არის ანგარიშში მოიხსენოს კაცმა: „1876-1881 წლამდე 9432 მანეთი შემოვიდაო“. ყოველა წლის ანგარიშში უნდა იყოს მოხსენებული სია ერის-კაცის შვილებისა, რომელნიც სასწავლებელში სწავლობენ,—გადასახადი ფულის რაოდენობა; ამასთანავე უნდა იყოს მოხსენებული, თუ სამმართველოს გარდაწყვეტილობით რამდენი ყმაწვილი იყო განთავისუფლებული ფულების შემოტანისაგან და მაშინ ყველასთვის ცხადი იქმნება, თუ რა უნდა შემოსულიყო წელიწადში. მაგრამ რაღაცა მანქანებით ზოგ ზედამხედველებს ისე ჩაუგდიათ ხელში ეს წყარო შემოსავლისა, რომ სამღვდელოებას ნამდვილ ანგარიშს არ აძლევენ ამ საგანზე. ამ შემთხვევაში ზედამხედველები ვითომც ხელმძღვანელობენ სასწავლებლის წესდების ერთი მუხლით, სადაც სწერია: „ერის-კაცის შვილებისგან შემოსული ფული არ შედის სამღვდელოების განკარგულებაში“. აი, აქედამ ზოგიერთ პირებს გამოყავთ ის აზრი, ვითომ სამღვდელოებას არა ჰქონდეს უფლება ამ ფულების ნამდვილი ანგარიში გაიგოს. ვსთქვათ, რომ სამღვდელოებას არა აქვს უფლება ანგარიში მოითხოვოს ამ შემთხვევაში, მაგრამ, თუ კი ეს ფულები რიგიანად არის შეკრებილი და დახარჯული, რა ცოდვა იქმნება, რომ მღვდლებმა შეიტყონ, თუ რამდენი შემოვიდა და რაზე დაიხარჯა. ამ წყაროს მეტად დიდი ანდამანტის ძალა გამოუჩნდა ამ ბოლოს, რაც ძლიერ გვაშინებს ამ ჩვენს ანგარებით განთქმულს დროში. ხშირად ამისთანა უაზროდ შედგენილ ანგარიშებს მიუგდებენ ხოლმე მღვდლებს კრების დროს და თუ ვინმემ გაბედა მათზე ხმის ამოღება, მაშინვე მიაბეზღებენ იქ, სადაც ჯერ არს.

ჩოლოს ვისურვებთ, რომ ყოველი ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების წლიური ანგარიშები იბეჭდებოდნენ გაზეთებში და ან ცალკე ბროშიურათ და ურიგდებოდეს სამღვდელოებას კრებების წინ რამდენიმე თვით ადრე; სასურველია აგრეთვე, რომ ეს ანგარიშები იქმნებოდნენ შედგენილნი რიგიანად და გასაგებად. ამასთანავე სასურველია, რომ სამღვდელოებას შეატყობინებდნენ ერთხლ და სამუდამოდ: აქვსთ მათ უფლება, რომ მოითხოვონ ერის-კაცის შვილებისაგან შემოტანილი ფულების ანგარიში, თუ არა? ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ სასწავლებლის წესდება ნებას არ აძლევდეს სამღვდელოებას, რომ მათ მსჯელობა იქონიონ ერის-კაცის შვილებისაგან შემოტანილ ფულებზე, მით უმეტეს, რომ სამღვდელოებას წესდების ძალით უფლება აქვს გადასწყვიტოს რაოდენობა გადასახადი ფულებისა; ე. ი. თუ რამდენი მანეთი უნდა გადიხადოს ერის-კაცის შვილმა წელიწადში სწავლის უფლების ფული. ეს უფლება თუ მიანიჭა მათ სასწავლებლის წესდებამ, რატომ ის კი არ უნდა შეეძლოთ მათ, რომ შეიტყონ, თუ რამდენი შემოვიდა ერის-კაცის შვილებიდგან, რაში და როგორ დაიხარჯა ეს ფულები? სამღვდელოება ხომ თავისთვის არ თხოვულობს ამ ფულებს? ამ საგნის თაობაზე საჭიროა გაიგოს სამღვდელოებამ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ჰაზრი.

ვინმე მღვდელი.

კაი მთქმელს კარგი გავგონე უნდა.

(წერილი რედაქციისადმი).

ხასულიერო მართებლობამ მოახდინა ამას წინეთ ერთი განკარგულება, რომელიც შეეხებოდა გვირგვინის კურთხევის საქმეს. რომ მღვდლები არ შეემცდარიყავით და ქრმიან ქალზე, ან ცოლიან კაცზე გვირგვინი არ გვეკურთხებინა, გამოგვიცხადეს, რომ საჭირო ცნობები მოგვეთხოვა სასიძოს და სასძლოსათვის. სამწუხაროდ, იმერეთში ეს განკარგულება სულ სხვანაირათ გაიგეს ზოგმა ბლაღოჩინებმა და ყველა საბლაღოჩინოში სულ სხვა-და-სხვა წესი შემოიღეს. გვირგვინის კურთხევის საქმე მაინც ძლიერ გაძნელდა. ამის დასამტკიცებელად მე მოვიყვან ერთ ფაკტს. სოფელს თვრინს მცხოვრებმა, რწმუნებულმა ჩემდამო სამრეველოთაგანმა ყმამ მათე დავითის ძემ ქველაძემ მთხოვა საქორწინო მოწმობა. მე მოეთხოვე მას ერთი სამ აბაზიანი მარკა და მივეცი მოწმობა, დაბეჭდილი ბლანკზე საჭირო ცნობების ჩაწერით. გავემგზავრა სამოყეროსას, სვირის საბლაღოჩინო მაზრაში. მეორე დღეს, საღამოზე (ეს იყო 29 იანვარს) გაყინული მოვარდა ჩემთან სასიძო და მითხრა: „მღვდელმა ლუტიძემ თქვენი მოწმობა დამიწუნაო, რადგან მარკაზე ხაზი არ იყო გასმულიო. ამასთან მამასახლისის მოწმობაც მამთხოვეო.“ ჩემი შეცდომა გავასწორე,—გაუსვი ხაზი მარკას. მამასახლისის მოწმობაც აიღო სასიძომ და წავიდა. მესამე დღეს დაბრუნებული, კიდევ მოვარდა სასიძოს ძმა, ივანე ქველაძე და მოიტანა უკანვე დაბრუნებული მამასახლისისაგან მიცემული მოწმობა, რომელზედაც აწერდა მღვდელი ლუტიძე: „ასე არ უნდა, ასე უნდა მოგცეს“; ესეც შეუსრულა მამასახლისმა. ,,ძიდევ მოეთხოვა მღვდელს ლუტიძეს ჩემთვის სასიძოს მეტრიკის აღმოწერილება. ეს მეწყინა მე და ყველა მოქმედება მღვდლის ლუტიძისა და მისი მხრით ორთავე გლეხების გაწვალება, სულ სხვა საგანს მივაწერე და მოხსენება ამის შესახებ გაუგზავნე ადგილობით ბლაღოჩინს მჭედლიძეს. მეოთხე დღეს კიდევ დაბრუნებული მოვიდა ჩემთან ყმა ქველაძე და მოიტანა ჩემი მოხსენება ზედვე დაწერით: მწერდა მღვდელი სიმონ ჯაფარიძე: „მამაო ალექსანდრე! ბლაღოჩინი შინ არ ბრძანდება და ბლაღოჩინის მონდობილობით მე გავხსენი თქვენი მოხსენება და გიცხადებთ, რომ ჩვენს საბლაღოჩინოში ამ წესით არის ყველა საბუთების მოთხოვნა.“ ძლიერ გაკვირვებული ვარ მღვდლის ლუტიძის ამისთანა მოთხოვნილებისაგან. გვიკვირს, რატომ ერთი წესი არ სუფევს ერთ ეპარხიაში ამ მოწმობაების შესახებ? შორაპნის საბლაღოჩინო მაზრაში ერთ მოწმობას აძლევენ, რომელშიაც ყველა ცნობებია მოყვანილი და სხვაგან კი სხვა ნაირ მოწმობებს სთხოვენ. ეს ჩემის აზრით გაუგებლობისაგან უნდა იყოს, რადგან ყველას არ შეუძლია ცირკულიარის მიწერილობის ახსნა, ნამეტურ თუ რუსულად არის დაწერილი. *)

მღვდელი ალექსანდრე არდიშვილი.

---

*) ჩვენ სრულებით ვეთანხმებით მღვდელს არდიშვილს იმაში, რომ ზოგიერთი ბლაღოჩინები სხვა-და-სხვა მთავრობის განკარგულებას ისე ვერ უხსნიან თავიანთ საბლაღოჩინო მღვდლებს, როგორც რიგია. ამისთანა გაუგებლობამ, მართლა, გვირგვინის კურთხევის საქმე ზოგიერთ ადგილას ძლიერ გააჭირვა. ამას წინეთ მღვდლებს გამოეცხადა ერთი სინოდის განკარგულება; ამ განკარგულებით მღვდლები იყვნენ გაფრთხილებულნი გვირგვინის კურთხევის შესახებ და ეცხადებოდათ მათ, თუ რა ცნობები იყო საჭირო სასძლოს და სასიძოს მხრით. სხვათა შორის, იყო ნათქვამი სალდათის მქვრივებზე და სასიძოს ვინაობაზე „ცნობა უნდა იყოს ადგილობითი პოლიციისაგან მიცემულიო“. ეს საგანი სრულებით არ შეეხებოდა ჩვენ მხარეს და არც არიან ჩვენ სოფლებში სალდათის მქვრივები. ეს დაუმტკიცეთ ჩვენ „დროების“ კორესპონდენტსაც; მაგრამ ის მაინც ამტკიცებდა, საჭიროა კანონის ძალით პოლიციის მოწმობაო. ჩვენ ჩაგვივარდა ხელში ერთი მამასახლისისაგან მიცემული მოწმობა. მოგვყავს აქ ეს მოწმობა შეუცვლელად. „მოწმობა, ესე მიეცა მცხოვრებს დიმის საზოგადოებასა შინა სოფელს ცხენ-თაროშიდ გლეხს ყოვლად პატიოსანს (!) და რიგიან ოჯახის კაცს (!) კარგის ხასიათისას (!) კ. ლ. მ—ძეს მას შინა, რომელ ეს რომელიც არის გამზადებული ჯვარის წერისათვის არავითარი დაბრკოლება ვითარცა საზოგადოებისა (!) ეგრეთვე მშობლების მხრიდამ მ—ძეს არა აქვს რა, რადგან ეს არი თავისუფალი სახელმწიფო კაცი ძირიდგან; (!) რაზედაც ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ბეჭდისათა ჩუპდ წელსა დ—ის ს—ბის მამასახლისი გ. ჩ—ძე. (ბეჭედი).

ეს მამასახლისი სვირის საბლაღოჩინოში ცხოვრებს და ამ საბლაღოჩინოში ამისთანა განკარგულება ყოფილა მოხდენილი. ეს მოწმობა უმარკო არის. იქონიეთ სახეში, რომ სასიძო, რომლისათვისაც ეს მოწმობა მიუცია ზობიდამ ოცდა რვა წლის არის. ჩვენ როგორც წინეთ ვამტკიცებდით, ამისთანი განკარგულება და ამისთანა მოწმობაების მოთხოვნა არავის არ გამოუცხადებია. ეს არის ნამყოფი ზოგიერთი ბლაღოჩინის გაუგებლობისა. ამისთანა მოწმობას არც ერთი კანონი არ ითხოვს სასიძოსაგან. ყველა მღვდელი დარწმდნებული უნდა იყოს, რომ ამისთანა მოწმობას უმექონებლობით ისინი არ დაბრკოლდებიან. სასიძოსა და სასძლოსაგან მაშინ ითხოვება პოლიციის მოწმობა მათ წოდებაზე როდესაც ეს ძნელი შესატყობია.

რედაქტორი.

***

Წარსრულთა დროთ, დროთ დიდებისას,
ქართველთა ერი მოგვაგონებენ;
როს მიმავალნი წარუვალს გზისას,
მოშურნის თვალით განადიდებენ.

—

ჯხნედ იყო მაშინ ჩვენი ივერი,
ძალ-ღონით სავსე გულწრფელი ერი;
მას გარს ეხვია მქნეჯნავი მტერი,
რომლის ნათელსა არ სცვლია ფერი.

—

�onierebit, mecnierebit, წინ მიუძღოდა სამღვდელო დასი;
სიამაყითა, ძვირთ-საფასითა შეუკრებია მას ერი თვისი,
ძმობა, ერთობა და სიყვარული მას ჩაუნერგავს მცნება ჭრისტესი,
რომ კაცთ ქმნილებას არ დაეკარგოს ᲘᲐᲜᲘᲡ მსგავსება და სახე მისი.

—

Კარნა წარვიდენ დრონი წარსრულნი,
ბანქრნენ ბრწყინვალის ნათელთ მთიებნი,
ვერ მოგვაგონებს ჩვენ ეხლა დღენი,
რაც რომ ყოფილან მამა-პაპანი.

—

ᲔᲛ ჩვენს დროშია ვხედავთ ჩვენ რასა?
Უწესოებას, უმართლოებას, უმფროსთაგანა უნცროსთა ჩაგვრას,
ნაცვლად კეთილის, ძმობა-ერთობის, აღიარებენ ბოროტ შეძენას;
პირმოთნეობით, ფარისეველობით, რომ მისწვდეს იგი სოფლის დიდებას.

—

. . . . . .

—

Კასწი, გაკვალე გზა ეკლიანი,
ძველის დროითგან ველთ თესლიანი,
რომ ცა მოწმენდილ აღმართ მთიანი,
ბანვლო, გაკვალო ბორკვთა ღრეანი.

მ. მ—ვი.

საისტორიო მასალა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები.

(გაგრძელება) *)

Წეკანოზი ᲘᲝᲐᲜᲔ ძო. წენიძე, მისნი ძენი მღვდელი სეიმონ და მთავარ-დიაკვანი მათე, მღვდელ-მონაზონი დანიელ და სხვ. შეადგენდენ ზარათის წმიდა ᲙᲘᲠᲘᲙᲔᲡ და ᲘᲚᲘᲢᲐᲡ ეკლესიის კრებულს. ᲘᲡ ეკლესია დგას ᲠᲘᲝᲜᲘᲡ პირად. შიგ მთლად კედელ-გუმბათი შემკულია ძველის მოზაიკურის მხატვრობითა, თუმცა აწ სიძველისაგან უმეტეს ნაწილად წაბღალულია.

ᲩᲝᲪᲐ მეფე იმერთა სოლომონ ᲠᲘᲝᲜᲘᲡ სამოურაოში იმყოფებოდა, წირვა-ლოცვის მოსასმენად ამ ეკლესიაზე მიდიოდა ხოლმე. ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ მეფე სოლომონ მეორე ყოფილა აქ, სხვათა შორის, 1791 წელსა. ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ამის გამო წვეულება გაუმართავს ერთს დღეს და მეფე მისის ამალით დაუპატიჟნია. ᲞᲣᲠᲝᲑᲐ გაუმართავს ᲠᲘᲝᲜᲘᲡ პირს ჩრდილოეთს ჭალაში, იქ საცა სანაო იყო (და ახლაც არის) გაღმა-გამოღმა „ფიცის კაცთა“ მიმოსავალი. ᲯᲔᲠ მეფე და დარბაისელნი წირვის მოსასმენად წაბრძანდენ. ᲘᲝᲐᲜᲔ და უფროსი მისი შვილი სეიმონ მღვდლის წესს ასრულებენ და მათე მთავარ-დიაკვნისას. ᲛᲔᲭᲐᲛᲜ-ᲛᲔᲓᲐᲕᲘᲗᲝᲜᲔᲓ და ᲝᲠᲞᲘᲠ მგალობლებად სულ ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲘᲡ მოწაფეები იყვნენ. ᲚᲠᲘᲕᲔ ძმები მოსწონდა მეფეს, მაგრამ უფრო მათე. ᲘᲡ ყოფილა მეტად წამოსადეგი, ფეროვანი, მშვენიერი შესახედაობის ვაჟკაცი. ᲬᲘᲜᲐ დღეს მეფე მწუხრის ლოცვაზე იყო და წიგნების კითხვა მათესი ისე მოეწონა, რომ საწიგნესთან გვერდს ამოუდგა, მხარზე ჩამოაწვა და მასთან თვალს ადევნებდა კითხვასა. ᲐᲮᲚᲐ წირვის დროს კიდევ უფრო მოეწონა მისი ახოვანი შეხედულება და სასიამოვნოდ რიხიანი ხმა დიაკონობის წესსში.

ᲬᲘᲠᲕᲐ გათავდა. მასპინძელმა ᲘᲝᲐᲜᲔ დეკანოზმა წამოიპატიჟა მეფე და მისი ამალი ᲠᲘᲝᲜᲘᲡ პირს, საცა სადილი იყო მომზადებული. ᲓᲐᲡᲮᲓᲔᲜ მოლზე გაფენილს ხალიჩებზე... ახლო ფერდობზე ყანიდამ ისმის გაცხარებული ნადური მეთოხართა (სადაგი დღე იყო). მეფე ყურს უგდებს ამას სიამოვნებით და ბოლოს ამის გამო მოწონებით სთქვა: „ის მუშებიც მარჯვენი არიან, ეტყობათ, ისე უკიჟინებენ ყანასა, მაგრამ ჩვენს მათე დიაკვანთან მაინც ვერ მოვლენ. ᲑᲣᲨᲘᲜ მწუხრის ლოცვზე რომ ეს წიგნსა

*) იხილე № 10 „მწყემსისა“.

ჰკითხულობდა, მე ხელს დავადებდი ხოლმე ფურცელს და განგებ ვაგვიანებდი გადაბრუნებას, მაგრამ მათე ამან ვერ შეაფერხა, იგი ზეპირ ჩაჰყვებოდა ხოლმე".

Ოქვენო უმაღლესობავ! კრძალვით მოახსენა ქებისაგან შეწითლებულმა მათემ, მე მეფისაგან ქების ღირსი არა ვარ, გარნა, თუ მიბრძანებთ, კიდევ უფრო სიმარჯვეს გამოვიჩენ წიგნის კითხვაში, ვინემ ის მუშები იჩენენ თავისს საქმეში.

ნება როგორ?

ნსე, თქვენო უმაღლესობავ! სანამ ისინი სვერს თავამდის აიტანდენ, მე შემიძლია დავითნი ზეპირად თავით ბოლომდის ჩავიკითხო. მართლა? და მართლა მოიხმეს დანიელ მღვდელ-მონაზონი შემამოწმებლად სანაძლეოსა. მუშებთან კაცი აფრინეს: შედექითო და ნიშანი რო მოგცეთ, დაიწყეთ მუშაობა და, სანამ სვერი თავამდის არ ააგდოთ, არ მოისვენოთო. სამხარი მეფის სუფრიდამ მოგივათო. დაიწყო მათემ დავითნის კითხვა ზეპირად. **ყ**ველანი მეფე და დარბაისელნი მას შესცქერიან. **ს**ვერის ატანას ცოტა კიდევ უკლდა, როცა მათემ უკანასკნელი ფსალმუნი ჩააკარბაკა. **ყ**ველანი გაჰკვირდენ და აქეს ზეპირი. მეფემ მოინდომა მისი დასაჩუქრება და უთხრა: „დიაკვანო მათე, შენ ღირსი ხარ აღმატების ხარისხისა და დღეის ამას იქით სასახლის ეკლესიაში უნდა იმსახურო ჩემთან".

ჰაშინ მეფეს წაესიტყვა **დ**ანიელი: „წმიდა ქვირიკეს ვერავინ წაართმევს მაგ დიაკვანსა და რაკი მაგის დამწყალობება გინებებიათ, ისა ჰსჯობს, მე რომ გუშინ ნალოცევს მაგის მამის საქმე შეგთხოვეთ, ის აღუსრულოთ. მეფე სიამოვნებით დათანხმდა, იმოწმა ყველა დარბაისელნი და დააწერინა შემდეგი გუჯარი: *)

„**ბ**ყალობითა და ფარვა-ცვითა მარიამ **დ**ავითიანისა, დედათა უმწიკვლ-უბიწოისა, ზენაისა დედოფლისათა მინდობილმან და მსასოებელმან მფარველობისა მისისამან სრულიად იმერთა მეფემან მეფეთამან, ძემან **ა**რჩილისამან მეორემან **ს**ოლომონ **დ**ავითიანმან და ერთხორცმან ჩემმან დედოფალთ დედუფალმან **მ**არიამ—ესე მტკიცე და მარად უცვალადო აზატობის წიგნი გიბოძეთ შენ წმიდის ქვირიკეს და **ი**ელიტას ეკლესიის დეკანოზს, **ზ**არათის მღვდელს **ი**ოანეს და შენის ძმის **პ**აპუნიკას შვილებს ესე ვითარად, რომ მათი მაღალი ღირსება წმიდა და წარჩინებული მამა მღვდელ-მონაზონი **დ**ანიილ მოიწია წინაშე მეფობისა ჩემისა და თქვენის ოჯახის გათარხნება მვედრა. **დ**ა მის მაღალ ღირსებას მივმადლე და ესრეთ განმითავისუფლებიხარ: ჩემის კარისაგან გამოსული არა საური, არა გაწვევა და მუშაობა და არც სხვა რამ მოსაკრეფულობა, მოხსენებისა, წირვისა და ლოცვისა და ეკლესიის სამსახურის მეტი თქვენ და თქვენს შვილსა და მომავალსა არაფერი ეთხოვება. **მ**ათი მაღალ ღირსებაც მამა **დ**ანიილიც მოხსენებას და ლოცვას ნუ დამაკლებს, **ა**წითგან ვინც და რომელთა მე მეტომეთა, მეფეთა ანუ დედოფალთა, უფლის წულთა, თავადთა ანუ აზნაურთა, სამღვდელოთა, დიდთა, ანუ მცირეთა — ყველთავე ვეტყვი ერთბაშად — წიგნისა ამის შლად ხელჰყოს და გემძლავროს დამტკიცებულსა ამას წერილს,—იყავენ იგი საუკუნოთა საკრველითა შეკრულ ათორმეტთა მოციქულთა და შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან. **ხ**ოლო დამამტკიცებელნი და მტკიცედ დამბეჭდველნი ამისნი იყავენ კურთხეულ კურთხევითა **ა**ბრაჰამ, **ი**საკ, **ი**აკობიანითა. **ა**მა წერილის შუამდგომელი და მოწამე სახლთ ხუცესი **წ**ერეთელი **ზ**ურაბ, **წ**ულუკიძე **ზ**ეორგი და სხვანი კარისა ჩემისა დიდებულნი დარბაზის ერნი.

ნღიწერა ხელითა **ბ**ეჭინაძის **ნ**იკოლოზისათა წელთა **ი**ფლისათა ჩღკ (1791 წ.) ფებერვლის კე-ს (ბეჭედი:) მეფე იმერთა **ს**ოლომონ.

ბ. ჩემის ხელმწიფის წიგნს ვამტკიცებ მე **ბ**აენათელი **მ**იტროპოლიტი **ე**ფთვიმე. **ვ**ინც ეს წიგნი გატეხოს, წმიდის სამებისაგან შეჩვენებული იყოს. (ბეჭედი:) **ბ**აენათელი **მ**იტროპოლიტი **ე**ფთვიმე.

ბეკანოზს **ი**ოანეს დაუტოვებია ანდერძი, რომელშიაც მას დაუვედრებია თავისის ჩამომავლობისთვის, რომ მის ოჯახში სასულიერო პირი არ გამოილიოს და ყველანი იხსენიებდენ მეფეს **ს**ოლომონ მეორეს. **ეს** იმიტომ, რომ მრავალი წყალობა ებოძებია მისთვის მეფეს და დარბაზის ერთაცა, რადგან დეკანოზი საპატიო პირად ყოფილა მიჩნეული. **ბ**არნა **ი**ოანეზე ბევრად უპატივცემულესი ყოფილა განდეგილი **დ**ანიელ მღვდელ-მონოზონი, რომელზედაც შემდეგში მოვილაპარაკებთ.

X—X.

*) სიგელ-გუჯრები პირ წმინდად მოგვყავს, გარდა შესაცადინიშნებისა, რასაც ახლანდელს კხმარობთ, ევროპიულს და არა ძველებურს ქართულს.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

Ვახთანგ ᲖორგᲐსლან მეფეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქრისტიანობის წინაშე. რვა წლისა იყო, როდ მას მოუკვდა მამა მირდატ მე V. Ვახთანგს ჯერ ზრდიდა ქართლის Ერისთავი და სპასპეტი საურმაგი და ამის სიკვდილის შემდეგ მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი და სპასპეტი Ზუანბერ. Ზანათლებულნი მღვდელ-მთავარი ობოლს ასწავლიდა Ღვთის-მეტყველებას და თავის ტკბილი დარიგებებით ღრმად უნერგავდა გულში ქრისტიანობის და ჩვენი ერის შევიწროებულ მდგომარეობას სპარსთა და სხვათაგან.

15 წლისა Ვახთანგი შეიქნა 454 წ. და იკურთხა სამეფო გვირგვინი. Ნიჭიერი და ისევ ნორჩი მეფე მეტად შორს მხედველი გამოჩნდა. მის ქვეყნის მტრები ამ დროს იყვნენ სპარსელნი, რომელთაც უნდოდათ ქრისტიანობის მოსპობა საქართველოში, Ბერძენნი, რომელთაც წინა მეფეების დროს დაეპყროთ, თითქმის, მთელი დასავლეთი საქართველო, ოსნი, რომელთაც Ვახთანგის მცირე წლოვანობის დროს აღაოხრეს მთელი ქართლი, დაატყვევეს მეფის და ხვარამზე და სხვანი და დიდის დაელით გავიდნენ ჩვენი ქვეყნიდამ. მეფეს ყველასთან ერთ და იგივე დროს ბრძოლა არ შეეძლო, ამიტომ სპარსელთა და Ბერძენთ ჯერ მეგობრობა გამოუცხადა *) და შეეიდა მთებში, გაიმარჯვა ოსებზე, Ჩერქესებზე, Ჯიქებზე და დიდ ძალის ალაფით აფხაზეთიდამ დაბრუნდა მცხეთას. Ოვისი გამარჯვება იდღესასწაულა და სპარსეთის შაის Ორმუზდს დიდი საჩუქრები უფროსი ქურუმის Ბინქარის ხელით გაუგზავნა და სთხოვა ცოლად ქალი Ბალენდუხტა. შაის დიდად ესიამოვნა დამოყვრება მძლავრ მეფესთან და გამოუგზავნა Ვახთანგს ასული თვისი მისი გამდელი რაჟდენითურთ. მეფემ იდღესასწაულა ქორწილი და შეუდგა სამეფოს და სჯულის საქმეებს.

Ვახთანგმა ახლა მეორე მტრის—Ბერძენთა დასჯა მოინდომა. Ამიტომ მან შეაგროვა დიდი ჯარი, მოიშველა სპარსთა მხედრობის ერთი ნაწილი და რანის მმართველი Ვაზგენი ანუ Ვასკენი, შეეიდა Ძლარჯეთში და Პონტის ქვეყნებში, რომელნიც ეპყრათ Ბერძენთა; ყველა ეს ადგილები დაიმორჩილა და მეეიდა ქალაქ ნაზიანზინამდის. სპარსელთ უნდოდათ ქრისტიანთ ტაძრების და ეკლესიების დანგრევა, მაგრამ Ვახთანგმა დაუშალა. Ომი ესე დასრულდა ზავით, რომლის ძალით Ვახთანგს დაუბრუნდა სამეგრელო, Ძლარჯეთი და Აუხაზეთი.

Ზაბრუნდა თუ არა მცხეთაში Ვახთანგი, დაიწყო ეკლესიების შენება და ღვდლების გამხნევება. მისგანვე დაარსებულს Ოფილისში ააგო მეტეხის Ივთისმშობლის ეკლესია. *) შემდეგ განდევნა ქურუმნი და ცეცხლ-თაყვანის მცემელნი, მათი უფროსი ქურუმი Ბინქარი შეპყრობილ იქმნა და Ბომონნი კი პირქვე დაცემულ. შემდეგ ბრძანება გამოსცა, რათა არავის ამიერიდგან საქართველოში აღარ შეეძლოს აღვიარება Ზოროასტრის სჯულისა. Სწორედ ამავე დროს მას მოუკვდა ცოლი Ბალენდუხტა და დაინიშნა იმპერატორის Ლეონის ასულ Მლენეზე. სპარსელნი განძვინდნენ Ვახთანგის მოქმედებისა გამო და შაჰის Შირუზის წინამძღოლობით დიდი ჯარი წამოვიდა საქართველოზე, დაიპყრო ყველა სამხრეთი ნაწილები მისი, შეეიდა ქართლში და შემოერტყა სატახტო ქალაქ მცხეთას, რომელშიაც გამაგრებულ იყო მეფე. Ციხე არმაზა კი ეჭირა გაქრისტიანებულს რაჟდენსა და გულადად ებრძოდა მტრებსა. მაგრამ მალე რაჟდენი შეპყრობილ იქმნა და Შირუზის წინაშე წარდგენილ. Ზანძვინებულმა შაიმა ქურუმებითურთ უბრძანა რაჟდენს, რათა უარ-ეყო ქრისტეანობა და თაყვანი ეცა Ზოროასტრისათვის. რაჟდენი მტკიცედ იდგა თავის სჯულზე, რის-გამო სცემდენ მას ცხვირპირში, შიშველს ათრევდენ და მერმე შებორკილი საპყრობილეში ჩაგდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ რაჟდენი წაიყვანეს ქ. Წრომში და იქაურ სპარსელთ ჯარის უფროსს მისცეს, რომელმაც Ქრისტეს მსგავსად ჯვარს აცვა და მერმე მცველნი მხედარნი მის გვამს შურდულებს ესროდნენ და ასობდენ. რაჟდენმა სული განუტევა და ღამე იქაურმა ქრისტიანებმა დაასაფლავეს **).

*) ეს მეგობრობა (რასაკვირველია პოლიტიკური) გამოცხადდა Ვახთანგის სიტყვიდამ, რომელიც წარმოსთქვა ტახტზე ასვლის დღესა, წინაშე დიდ-ძალის შეკრებილობისა. როდესაც ყველანი, ამ კრებაზედ დამსწრენი, ფეხზე იდგნენ და ნება არა ჰქონდათ, რომ დამჯდარიყვნენ მეფესთან; Ვახთანგმა გვერდთ დაისვა ქურუმთა უფროსი Ბინქარი და მთავარ-ეპისკოპოსი მიხეილი, ერთი როგორც წარმომადგენელი Ზოროასტრისა და მეორე როგორც Ქრისტესი.

*) თუმცა ჩვენი მატიანენი მოგვითხრობენ, რომ Ვახთანგმა თბილისში ააგო სიონის მიძინების ტაძარი, მეტეხისა და სხვანი, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის. Ვახთანგმა მარტო საძირკველი ჩაჰყარა და შენება კი გაგრძელდა და შემდეგ მეფეებმა დაასრულეს. მაგ. სიონის სობორო დაუსრულებელი იყო დაჩის მეფობაში (499—514 წ.), გურამისაში და დასრულებულ იქმნა მხოლოდ მეფობასა შინა აღარნასისა (619—639).

**) როდესაც Ვახთანგმა მტრებთან ბრძოლა გაათავა და განდევნა იგინი საქართველოდგან, მაშინ მან მოსძებნა გვამი

ჩოდესაც ფირუზი საქართველოს ერთის შეტევით გაოხრებას უპირებდა და მეფე ვახთანგი მეტად გაჭირებულ მდგომარეობაში იყო, საბერძნეთიდამ მოვიდა საქართველოში 80,000 მაშველი ჯარი. იმპერატორის ბრძანების ძალით ვახთანგის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო როგორც 80,000 ბერძენთ ჯარი, ისე ყველა ადგილები ყარნუქალაქიდამ, ლამდიდამ მელიტენამდის. ეს რომ გაიგო ფირუზმა, ვახთანგთან შერიგება მოინდომა იმ პირობით, თუ ცეცხლ თაყვანის-მცემელთ *) მეფე შეუშვებდა საქართველოში. ვახთანგმა ყოკელ-გვარი პირობა უარჰყო. მაშინ ფირუზმა გამოუგზავნა ძვიფასი გვირგვინი და მრავალი სიმდიდრე. ეს ჭნიშნავდა ზავის სურვილსა. ვახთანგმაც გაუგზავნა საჩუქრები და ინახულა ფირუზი. ჩამოვარდა მშვიდობიანობა, რომლის ძალით საქართველო სრულიად დამოუკიდებელ სამეფოდ აღიარებულ იქმნა. ფირუზმა შეირთო ვახთანგის და და სთხოვა მოშველება წინააღმდეგ ჩინელთა და ინდიელთა.

ჯაგრამ მინამ გაემგზავრებოდა მისაშველებლად ფირუზისა, ვახთანგმა მეფედ აკურთხა მცირე წლოვანი შვილი თვისი დაჩი, ანუ დარჩილი და თვითონ 10,000 კაცით წავიდა იერუსალიმს, საცა თაყვანსცა ჭრისტეს საფლავსა და წმიდა ადგილებსა და მემრე გაემგზავრა სპარსეთიდამ ინდოეთისკენ და აქ მრავალჯერ გაიმარჯვეს მტრებზე და დიდის ალაფით წამოვიდნენ და თანაც წამოიღეს აბრეშუმის ჭიის თესლი.

ნაქართველოში დაბრუნების შემდეგ მან ჩვენი ეკკლესია სრულიად განათავისუფლა გარეშე გავლენისა და დამოკიდებულებისაგან. აქამდის ჩვენ პატრიარქს ამწესებდენ ანტიოქიიდამ. ვახთანგის თხოვნით იმპერატორმა ლეონმა, ჩვენი მეფის სიმამრმა, უბრძანა ანტიოქიის პატრიარქს ეკურთხებინა საქართველოს პატრიარხად პეტრე. ამნაირად მეფის სურვილისამებრ საქართველოს ეკკლესია შეიქმნა დამოუკიდებელი და მიენიჭა მას „აგტოკეფალობა“ ანუ თვით-მმართველობა *) (488 წელს).

მოსე ჯანაშვილი.

რაუდენისა, წრომიდამ გადიტანა დიდს მისგანვე აგებულს ნიქოზის ტაძარში. რაუდენის წამების აღსრულებას ჩვენი ეკკლესია დღესასწაულობს 3 აგვისტოსა. მისი საგალობელი გვაუწყებს: „დიდებაო ახლის ნერგის ეკკლესიისაო, ჭეშმარიტად ნათობო სარწმუნოებისაო, პირველ-მოწამეო რაუდენ; შენ მიერ ისარის წყობა ქართველთა ეკკლესიისა მოღვაწეთა ისწავეს“.

ნიქოზის სამწყსოს განაგებდა ეპისკოპოსი 1810 წლამდის, მას ექვემდებარებდენ მცხოვრენი ქსნიდან კავკასიის და იმერეთის მთებამდე; ქართლელნი, ოსნი, დვალეთლები, გდოლელნი. ოთანე ეპისკოპოსის დროს 1799 წ. ნიქოზიდამ დაიკარგა ძვირფასი საუნჯე საქართველოს ეკკლესიისა „წმ. ჯვარი ცხოველსმყოფელის ხისა“, რომლის სიგრძე ოთხი გოჯი იყო. ამ ჯვარს ჰქონდა წარწერა, რომელიც ჭმოწმობდა, რომ იგი მოტანილ იქმნა იერუსალიმიდამ ვახთანგისაგან. ეს ის ცხოველ-მყოფელი ხეა, რომელზედაც მოგვითხრობენ ალმოსავლეთის ხალხნი და მწერალნი (ჰ. იოსელიანი).

*) ამავე ხანებს ეკუთვნის წამება შუშანიკისა. ეს იყო ქართველთა მეფის ასული და ჰყვანდა ცოლად რანის მმართველს ვაზგენს ანუ ვასკენს. ქმარი შუშანიკისა მეტად ბოროტი იყო და ქურუმთ ნებაც მისცა გაეკრცელებინათ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობა და სჯული ქრისტესი დაეორგუნათ. შუშანიკი გულის ტკივილით უყურებდა თავის ქმრის ულვთო მოქმედებას, რომელმაც უკვე შეირთო მეორე ცოლი (სპარსეთის შაჰის ასული) ცეცხლ-თაყვანის-მცემელი. ამიტომ შუშანიკი გადასახლდა ტაძარში და იქ ევედრებოდა უფალსა, მაგრამ ცეცხლ-თაყვანის მცემელმა ვასკენმა თავის ძმა ჯოჯიკი გაგზავნა შუშანიკის დასაძახებლად. სახარებით და წმ, ნაწილებით შუშანიკი გამოეცხადა ქმარსა, რომლისაგან გგემულ, ცემულ, თვალ-გამოთხრილ, თავ-გატეხილ და საპურობილეში ჩაგდებულ იქმნა, აქ მას ნუგეშსა სცემდენ ეპისკოპოსი და დიაკონი. მაგრამ ვასკენი აქაც მოვიდა, ჰკვემა ეპისკოპოსი, სცემა დიაკონსა, თრევა დაუწყო თავის მეუღლესა და წაათრია სასახლეში. მაგრამ ხელახლა იგი ჩაგდებინა საპურობილეში, შებორკილა და საჭმელსაც არ აძლევდა. ამ ყოფაში მან განატარა ექვსი წელიწადი. წმიდამან შუშანიკამ დიდ ხანს ვეღარ იცოცხლა, აღესრულა იგი 458 წელს და დაასაფლავეს იმ ეკკლესიაში, საცა ევედრებოდა ღმერთსა. ვახთანგი რომ განთავისუფლდა გარეშე ომებისაგან, წავიდა რანში, ვასკენი დაიჭირა და ჩამოახრჩო, ხოლო წმ, გვამი წამებულისა გადმოსვენა და დაასვენა წორტაგში, მაგრამ 120 წლის შემდეგ, როდესაც ქართველთა და სომეხთ ეკკლესია გაიყო, მაშინ ჩვენმა ქათოლიკოსმა შუშანიკის გვაში გადმოიტანა თბილისში და დასასფლავა მეტეხის ეკკლესიის ეკვედერში. დღეობა 28 აგვისტოსაა...

*) ჩვენი მატიანეს სიტყვით, ამ დრომდის ბერძენთ სამღვდელოება ჰმწყსიდა საქართველოს ეკკლესიას და ძალიან ცუდად: უცხო ნათესავნი მეტად ვერცხლ-მოყვარენი და ანგაარნი იყვნენ, ეკკლესიის საქმეებს ფურს არ უგდებდენ, რისა-გამო ვახთანგის უცხოობაში მყოფობის დროს ეკკლესიის საქმენი ცუდად მიდიოდნენ. თვით მცხეთის ეპისკოპოსი მიხეილი (ბერძენი) მეტად ცუდი კაცი იყო. ამის გამო მეფემ შეიპყრო იგი და წარგზავნა კონსტანტინოპოლში და იკადრა პატრიარქს გენნადის გაუგზავნა მიხეილის ავ-კაცობის დასამტკიცებელი საბუთებიც. გენნადიმ ღირსება ჩამოხადა მიხეილსა და მონასტერში შეამწყვდია.

სხვათა შორის მიხეილს, ბრალად ისიც ედებოდა, რომ მეფე ვახთანგზე და მის ჯარზე, როდესაც იყვნენ სპარსეთში და ინდუსტანში, მოაჭორა, რომ ქრისტეს სჯულს ულალატესო. გარდა ამისა მეფე მხედრობით რომ შემოვიდა მცხეთაში (რვა წლის უცხოობაში მყოფობის შემდეგ), მიხეილი არ მიეგება მას, როგორც მეფეს. ხოლო როდესაც მივიდა მასთან მეფე, მან ხელი ჭკრა ძეფესა და პირში მიარტყა ქოში და ჩაუმტვრია ერთი კბილი. გამამტყუნებელ საბუთებთან ერთად მეფეს ეს კბილიც გაუგზავნია კონსტანტინოპოლის პატრიარქისათვის.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ეს წელში შეასრულეს თფილისის სასულიერო სემინარიაში კურსი ცხრა მოწაფეთა. აი მათი სახელი და გვარები: ი. აბესაძე, მ. ტყემლაძე, მ. ცაგარელი, სამ. ცაგარელი, პ. ბამრეკელი, ს. ბამრეკელი, ა. ბულისაშვილი, ზ. ჩხიკვაძე, და ვ. პოპოვი. პირველი ოთხი მოწაფენი დასავლეთის საქართველოდან არიან და უკანასკნელები ოთხი — აღმოსავლეთის საქართველოდამ; ერთიც რუსია. ამ ყმაწვილებში სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი მ. ტყემალაძე იგზავნება სახელმწიფო ხარჯით სასულიერო აკადემიაში. დანარჩენებიც თითქმის ნახევრობით წავლენ უმაღლეს სასწავლებლებში, ან სხვა სამსახურს გამოირჩევენ და მთელ საექსარხოსოს დარჩება ოთხი სემინარიაში კურს შესრულებული სამღვდელოთ!..

***

ერთი სამღვდელო პირი გვეკითხება ჩვენ შემდეგ ამბავზე: „მღვდელმა რომ გვირგვინის კურთხეის მოწმობა არ მისცეს რომელიმე მოწაფეს რომელთამე საპატიო მიზეზთა გამო, რიგია თუ არა, ამ კაცის საჩივრით გამოუძიებლად და ამბის შეუტყობლად ბლაღოჩინმა წარუდგინოს ამისთანა მღვდელი ეპისკოპოსს დასასჯელად?“ რასაკვირველია, რომ არ შეიძლება! და ამისთანა უსაფუძვლო მოხსენებას განა უმაღლესმა მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება?..

***

ჩვემო იმერეთიდამ ჩვენ გვწერენ შემდეგ საყურადღებო ამბავს: „სოფლის ბორის მთავარ-ანგელოსთ ეკკლესიას დიდი ხნიდამ აქვს შეწირული ორი ნაკვეთი ადგილი სულ ზომით ექვს ქცევამდისინ. ამ ეკკლესიის მამულებით სარგებლობენ ამავე ეკკლესიის მრევლნი ნახევარზე აზნაურნი და ნახევარზე გლეხნი. ეს ადგილები მათგან გაიცემა ხოლმე იჯარით და იჯარის ფულებით თვითონ გამცემნი სარგებლობენ და არა ეკკლესია. რიგია ამას ადგილობითმა ბლაღოჩინმა ყურადღება მიაქციოს. ამავე სამრეველოში ერთი ზედ მიწერილი ეკკლესია დაარღვიეს შესაკეთებლად. ყველა ხატები და ნივთები ერთ აზნაურის სახლში შეიტანეს და შეინახეს, როდესაც ამისთანა წმიდა ნივთების შენახვა შტატის ეკკლესიაში უნდა მომხდარიყო“.

***

ჩვენ მივიღეთ მშვენიერად გამოცემული საქართველოს ისტორია, შედგენილი მოსე ჯანაშვილისაგან. წიგნი შედგება ორას ორმოცი გვერდისაგან. ფასი წიგნისა არის დანიშნული სამი აბაზი და ვინც ოც წიგნზე მეტს წაიღებს ერთად, მას წიგნი ეთმობა ათ შაურად. ვისაც ახსოვს სემინარიაში მასწავლებლის ნაგლეჯ ქაღალდებზე საქართველო ისტორიის სწავლება და ვინც კარგად დააკვირდება ქართველთა ხალხის სიღარიბეს ამისთანა წიგნების უმექონებლობით ის, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამისთანა წიგნის გამოცემას დიდის სიხარულით მიეგებება. ბ. მოსე ჯანაშვილი ამისთანა შრომისათვის სწორეთ ყველა ქართველთაგან დიდი ქების და პატივის ცემის ღირსია. ყოველი ქართველი: მღვდელი და ერი, ვისაც ჩვენი ხალხის ისტორიული ცხოვრების გაგება ესიამოვნება, დიდის სიხარულით მოიპოვებს ამ წიგნს...

***

ბუსული გაზეთები გვაცნობებენ, რომ ამ ცოტა ხანში გამოცხადდება ახალი კანონი და წყობილება საეკკლესიო სამრეველო სკოლებისა. ამას წინეთ ეს სკოლები ერთად შეაერთეს სახალხო სკოლებთან და მათი განგება და მართვა დამოკიდებული იყო სახალხო სკოლების დირექტორებზე. ახლა საეკკლესიო სამრეველო სკოლები ისევე იმ უფლებას მიიღებენ რა უფლებაებიც წინეთ ჰქონდათ. ეს სკოლები ამის შემდეგ ისევე ეპარხიის მღვდელ-მთავრების და სასულიერო წოდების განგებულებაში იქნებიან. სახალხო სკოლების დირექტორებს შეეძლებათ ნახონ ხოლმე ეს სკოლები, მაგრამ რაიმე განკარგულების მოხდენა მის მართვაში და სწავლების საქმის გარეგაში არა ვითარი უფლება არ ექმნებათ. ახალი წყობილება სამრეველო სკოლებზე სასულიერო უწყებისაგან შედგენილი განხილული და მოწონებულია სახალხო განათლების და შინაგან საქმეთა მინისტრთაგან. ამ კანონის გამოცხადების შემდეგ, შეუდგებიან საშუალების გამონახვას, რომლითაც ეს სკოლები უნდა დაარსდნენ. ამბობენ, რომ ამ სკოლების გასახსნელად ხაზინის ფულიც იქნება დახმარებულიო...

***

ბოგორც „დროებაში“ ვკითხულობთ „ახალი ათონის“ მონასტრის იახლოვეს იქაურ ბერებს ერთ მთის წვეროზე ერთი კოშკი დაუნგრევიათ და ერთ ქვაზე წარწერილობა უნახავთ ბერძნულ ენაზე, რომელიც მეხუთე საუკუნეს ეკუთვნისო.

რას ამბობს?

წერილი რედაქციისადმი.

„Ზროების“ 124 №-ში ჩვენ წავიკითხეთ მცირე შენიშვნა ახალი ზედამხედველის დანიშვნაზედ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში; ჩინებული რეკომენდანცია, რომელსაც „დროება“ უწევს ბ. ტატიევს მკითხველი საზოგადოების წინაშე, რასაკვირველია, ყველასთვის ძლიერ სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენ მეტად გაგვაოცა „დროებისგან“ დასახელებამ „იმ მეჭორეთა და ცილის მწამებელთა გუნდისა, რომელიც იმავ თავითვე შეადგენს სასწავლებლის დამამხობელს ძალას და რომელთანაც თვით ყოვლად პატივცეული ეპისკოპოზს ბაბრიელსაც—კი ვერა გაუწყვია რა.“ შენიშვნა თავდება ამ სიტყვებით: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მეჭორეთა და ცილის მწამებელთა დასი თავს მოიხრის ბ. ტატიევის უანგარობისა, შრომის მოყვარეობისა და კეთილი მიმართულების წინაშე,—და მასთან ერთად შეუდგებიან სასწავლებლის განკეთილებას“. (მაშ ეს ცილის მწამებელნი და მეჭორენი დღემდისინ ზარმაცობის, ცუდი მიმართულების და ანგარების წინააღმდეგნი ყოფილან!) ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მშვიდობიანობის და მყუდროების არევ დარევაში უძლიერესი მონაწილეობა „დროებას“ ეკუთვნის, რადგან ამ სასწავლებლის ზედამხედველებზე და განსაკუთრებით ბ. ი. ფ—ზე „დროების“-ოდენი არაკის არ ულაპარაკნია. თუ სხვებიც აჰყვა „დროებას“ ამ შემთხვევაში სიტყვით თუ საქმით, ეს მიტომ, რომ „დროების“ გამოლაშქრება ფ—სთან მათ საფუძვლიანად და სამართლიანად მიაჩნდათ.

ზღეს „დროება“ გამომდგარა და ისე ლაპარაკობს თითქო ყველა ესენი მოხდა მეჭორეთა და ცილის მწამებლებთგან. აქედგან რა დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა? რასაკვირველია ის, რომ ყველაფერი, რაც იწერებოდა სასწავლებელზე „დროებაში“ ფ—ძის წინააღმდეგ, აშკარა მეჭორობა და ცილის წამება იყო და ამით ახალს ზედამხედველს აფრთხილებს.

ჯერ კიდევ დიფომაციის საქმე არ გათავებულა და იქნება დამარცხებულს ფ—ძეს აქ მაინც გაუმარჯოს ღმერთმა! ეხლა რაღა ეთქმის „დროების“ რედაქციას ფ—ძის წინაშე გასამართლებლად, როცა თვითონ აღვიარებს ჭორათ და ცილის წამებად ყველაფერს, რასაც იწერებოდნენ სასწავლებელზე „დროებაში!“ ამის მეტს აღარც ფ—ძე ჩიოდა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე.

ზესხვა,

თქმული საქართველოს ეს-ქარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს მიერ გენერალ ადიუტანტის მ. დ. ორბელიანის წესის აგების დროს 23-ს მარტს 1883 წელსა.

ჩოვედით, უკანასკნელი ამბორი
მივსცეთ, ძმანო, გარდაცვალებულსა,
და ვმადლობდეთ ღმერთსა.

ჩოდესაც ჩვენი მახლობელი და ძვირფასი კაცი გაემგზავრება შორს გზას, მაშინ ჩვენ ყველანი,—ნათესავნი, მეგობარნი, ნაცნობნი,—გავაცილებთ მასს გზაზე სხვა-და-სხვა სურვილის გამოცხადებით. ძვირფასს მოგზაურთან გამოთხოვების დროს ჩვენ მოგვაგონდება ყოველისფერი: მოგვაგონდება, თუ რა იყო ჩვენთვის იგი,—მოგვაგონდებიან მისი კეთილნი თვისებანი, მუსაიფი, მისი საქმენი და აგრეთვე მასთან ტკბილად დროს გატარება. გამოთხოვების დროს მწუხარებით ვგრძნობთ მეგობრის დაშორებას და მოკლებას. ამასთანავე გამოითქმება მრავალი კეთილი სურვილი მოგზაურისათვის: სურვობენ მისთვის, რომ უცხო ქვეყანაში ღმერთმა დაიხსნას ის ყოველისფერი გაჭირვებისა, მწუხარებისა და განსაცდელისაგან. და მიანიჭოს მას ბედნიერი და კეთილი ცხოვრება. მით უმეტესად არ უნდა ვისურვოთ ჩვენ ძვირფასი კაცისათვის კეთილი, როდესაც ის ჩვენ გვშორდება საუკუნოდ ამ ცხოვრებაში და ისწრაფის საუკუნო ცხოვრებისადმი, რომლისაგან არ ბრუნდებიან ამ ქვეყანაში? უფრო უმეტესად არ უნდა ვისურვოთ, ძმანო და დანო, კეთილი ძვირფასი განსვენებულის მონისა ღვთისა თ. გრიგოლისათვის? მოშორებული ამ ქვეყნიდგან, ის გვიტოვებს ჩვენ ძვირფასს მოგონებათა და სამწუხარო მოკლებას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვგრძნობთ მისი დაკარგვით. განა საიდუმლო მოგზაურობასა შინა საუკუნო ცხოვრებისადმი არ საჭიროებს იგი ჩვენს ლოცვასა, რათა შევიდეს იგი სამოთხესა და დაიმკვიდროს მან სასუფეველი ცათა? — ჩოვედით,

უკანასკნელი ამბორი მიგსცეთ, მმანო, გარდაცვალებულსა. ტაზარსა შინა Იესოისასა ყოველივე მოგვაგონებს ჩვენ, რომ ერთი მხოლოდ Იმერთი არის დიდი, განუსაზღვრელად დიდი, ყოვლად სრული, ყოვლად ქებული და ყოვლად დიდებული და ამიტომ როგორ უნდა გაბედოს კაცმა ქების გამოთქმა კაცისა? Იესოის წინაშე, ერთისა მხოლოდ დიდისა, ყოველივე არა რაი არს: არა რაი არს მისს წინაშე ქერაბიმნი და სერაფიმნი; არა რაი არიან Იესოის წანაშე უმაღლესნი მართალნი და უძლიერესნი კაცნი. Იესოის წინაშე ყოველივე ქმნულება არა რაი არს; როგორც წვეთი წყლისა — უღრმეს ზღვასთან და ერთი პატარა ქვიშა—მთელ ქვეყნიერებასთან. რა ვართ Იესოის წინაშე ჩვენ კაცნი ჩვენი დამსახურებით და დიდებითა? როგორ უნდა გავბედოთ ჩვენ ქება კაცისა მის წინაშე? მაგრამ, მეორეს მხრით, როგორ არ უნდა მივსცეთ ჩვენს თავს ნება და არ გამოვსთქვათ ჩვენი გულის გრძნობანი? რომ წმიდათა შორის არ იყოს საკვირველ თვითონ Იმერთი, რომ ბუნებითი ნიჭი კაცისა არ იყოს Იესოისგან მონიჭებული; რომ დიდება და მოქმედებანი კეთილთა კაცთა არ იყონ Იესოის სადიდებლად, რომლის ძალითა ჩვენ ვასრულებთ ყოველსა კეთილსა მამინ ჩვენ ვერ გავბედავდით Იესოის ტაზარში ქების გამოთქმას კაცთა. ვინაიდგან ჩვენ ვიცით, რომ დიდი ნიჭით და კეთილი საქმეებითაც, უმეტეს ამაების მექონისა კაცისა, იდიდება Იმერთი—მიმნიჭებელი კაცთადმი ყოველისა კეთილისა, ამიტომ ჩვენ კადნიერებით გამოვსთქვამთ ხოლმე მომაკვდავი კაცის ქებასაცა, განსაკუთრებით კეთილი ქრისტიანისასა.

Ცანსვენებული მონა Იესოისა თავადი გრიგოლი უხვად იყო დაჯილდოვებული Იესოისგან სხვა და სხვა ნიჭითა. Იმერთმა მიანიჭა მასს მამაცი გული მხედრისა. Იმერთმა მიანიჭა მასს სიბრძნე, რომლითაც ის შეიქმნა ბრძენი და კეთილი მმართველი. Იმერთმა ჭშთაბერა მასს პოეტური ნიჭი, რომლითაც ის ტკბილად ადელვებდა კაცის გულთა, ადვიძებდა მათში კეთილ და წმიდა გრძნობათა და მიმართულებათა და, თავის სურვილისა მებრ, როგორც ამბობენ, ის ხან ახარებდა და ხან ატირებდა მკითხველთა. Იმერთმა მიანიჭა მასს გრძელ-ყამიური სიცოცხლე, შემკული დიდებული და კეთილი საქმეებითა. ის უკვე მსახურებდა, როცა უხუცესნი ჩვენთაგანი კიდევ დაბადებულნი არ იყვნენ, და ემსახურებოდა ის კეთილად ასე, რომ მისს სამსახურს ათასეულნი გვირგვინოსანნი და პატივსა სცემდენ მისი თანა მოსამსახურენი, რომელებშიაც ადძრავდა პატივის ცემის და მადლობის გრძნობას, ვის სასარგებლოდაც უმთავრესად მიმართული იყო მისი სამსახური. დიდება Იმერთსა ყველა ამისათვის. დიდება მასაც, ვინაც მიწაში არ დამალა ღვთისაგან მინიჭებული ნიჭი, არამედ მოიხმარა იგი საქმეში,—დიდება პატიოსანს და საზოგადოებისთვის კეთილის მოქმედსა, — განსვენებულს თავადს გრიგოლსა.

Ცარნა საიდუმლო იმ არა ჩვეულებრივი სიყვარულობისა, რომელსაც განსვენებული ადძრავდა ყველა პირთა შორის, ვისაც რამე დამოკიდებულება ჰქონდა მასთან, იპოვება არა ამ თვისებათა და საქმეთა შინა, არამედ მიზეზი ამა სიყვარულისა სულ სხვაა.

ჯან-და-ხან Oიფალი მოგვივლენს ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე განსხვავებულთა პირთა, მომხიბლავი ზნეობითი თვისებითა, აგებულობითა და განსაკუთრებითი სულიერი ბეჭდითა, რომელნიცა უნებლიედ მიიზიდვენ ყოველთა. ამისთანა პირები ყველგან, სადაც კი ისინი გამოცხადდებიან, მოჰფენენ ხალხში სიცოცხლეს, მშვიდობას და სიყვარულსა. ისინი, რადაცა მომხიმლავი ძალით, ამშვიდებენ და აწყნარებენ გაბოროტებულთა და განრისხებულთა პირთა; ისინი, ცოტა ხნობით მაინც, ამყარებენ სიყვარულს იმისთანა გადამტერებულთა პირთა შორისაც, რომელთა გულსა ხრწნის შური და მტერობა და ამით ისინი ამყარებენ კაცთა შორის ნიადაგ სიყვარულობასა. ისინი იმყოფებიან ნიადაგ განსაცდელში, მაგრამ განსაცდელი არ ეხება მათ. ისინი ფირსი შეიქმნებიან დიდებისა და პატივისა; მაგრამ მათი დიდება და პატივი არ ადძვრენ სხვათა შორის შურსა და მტერობასა.

Ეს ნიჭი ზოგიერთთა რჩეულთა—სხვათა მიზიდვისა-არის უდიდესი ნიჭი Oიფისა, რომელიც გარდმოევლინება არა მრავალთა. თვით ეს პირები — განსაკუთრებითი Oიფის ნიჭია ქვეყნისათვის. ამისთანა პირების ნამდვილი წარმომადგენელი იყო წმიდა მოციქული და მახარებელი იოანნე Oიფის მეტყველი, შეყვარებული მოწაფე ჭრისტესი. ზნეობითად ის უმეტესი არ იყო თავთა მოციქულთა — პეტრეს და პავლესა; ის ზნეობით ნაკლები იყო წინა მორბედზე და ნათლის მცემელზე იოანნეზე, რომელზედაც თვით Oიფალმა ჩვენმა Iესო ჭრისტემ რქვა: ,,არა აღდგომილ არს ნაშობთაგან დედათა უფროს

იოანნე ნათლის მცემლისა'' (მათ. ია—ია). მაგრამ მას უფროს ყოველთა ქრისტიანეთა პირთა შორის ჰქონდა ნიჭი, შემაყვარებელი ყოველთა პირთა. ის—საყვარელი მოწაფე ჩრისტესი, მიეურდნო მკერდსა Oფლისა Iესოსა;—და ეს უდიდებულესი პატივის ცემა—მიურდნობა მკერდსა ზედა კაცისა-Iვთისასა მოციქულებში არ აღძრავდა შურსა. განსაცდელნი და სასტიკი შეწუხებანი ვერ ეხებოდნენ მასს. ის ერთად წმიდა პეტრე მოციქულთან შედის მღვდელ-მთავრის ეზოში, რათა უყუროს ჩრისტეს განსჯასა. პეტრე ამისთანა კადნიერებისათვის ვარდება საშიშარს განსაცდელში, რომლის გამოისობით უარ ჰყო ჩრისტე; ხოლო იოანნე არაფერსა უბედურებასა და განსაცდელსა არ მიეცემა მღვდელ-მთავრის მოსამსახურეთაგან, თუმც მათ იციან, რომ იგი არის ჩრისტეს მოწაფე. შემდგომ Iესო ჩრისტეს მიცემისა, მისი მოწაფენი განიბნენ და ვერ ბედავდნენ გოლგოთის მთის მიახლოვებასა; ხოლო იოანნე კადნიერად და გაბედვით სდგას ჩრისტეს ჯვართან და ჯვრიდგან Oფალი აშვილებს მასს თავის ყოვლად წმიდა დედას. ყველა წმიდანი მოციქულნი მიეცენ წვალებითი სიკვდილსა; ხოლო იოანნეს ასცილდა ამისთანა სიკვდილი. ადუღებული ღვინი, რომელშიდაც ჩააგდეს იოანნე უწყალო დომიციანეს ბრძანებით, ვერ ვნებს, ჩრისტეს საყვარელ მოწაფეს და ის აღესრულა არა ტანჯვისაგან, არამედ ბუნებრივითა სიკვდილითა. რაში არის ეს საიდუმლოება სიყვარულისა, რომლისა გამო ის ყველას უყვარდა?.. რაშია მიზეზი ამ გასაოცარ მოვლენათა, რომ არც შური, არც კაცის მტერობა, არცა განსაცდელნი, არცა უბედურებანი და ტანჯვანი არ ეხებოდნენ წმიდა იოანნეს?.. ყოველივე ამის მიზეზი არის სიყვარულსა შინა, რომლითაც აღვსილი იყო იოანნე Iვთის-მეტყველი და რომელიც იზიდავდა მისდამი ყოველთა... ამისთანა პირებს ემზგავსებოდა განსვენებული ჩვენი თანამოძმე თავადი გრიგოლი... და აი ამაში არის მიზეზი საზოგადო სიყვარულობისა მისდამი. ამ სიყვარულობის ღირსი გახადეს ისა და ეს სიყვარულობა გამოუცხადეს მასს რუსეთის მეფეთაცა. სიყვარულის ხმა ესმოდა და ესმის მასს ყოველთაგან: სასახლეებიდგანაც, უბრალო ქოხებიდგანაც, გამოჩინებულ პირთაგან, მდიდართა და ღარიბთაგან... როგორც დარბაისელი და მამაცი წინამძღოლი ის იცავდა სამხედრო წესიერებას; როგორც მმართველი იცავდა წესიერებას; იყო მოსამართლე; უჩენდა სამართალს და სიმართლეს ყველასა; ამას ასრულებდა ისე მოხერხებულად, რომ არ იმტერებდა არავის, არამედ იზიდავდა თვისდამი გულთა ყოველთა კაცთასა. მასს მიენიჭა უდიდესი მდგომარეობა, უდიდესი პატივი სახელმწიფოში; იმან მოიპოვა დიდება და სიყვარული სახალხო პოეტისა ისე, რომ არა ჰყოლებია მოშურნენი. ის იზიდავდა ყველას, რომელნიც ცოტა დროითა მაინც გაიცნობდა მასს... დიდ არს ძალა სიყვარულისა! იგი სრულიად მიიახლოებს ყველას...

Oკანასკნელ რა კეთილ სურვილს გამოუცხადებთ სხვა ქვეყანაში მიმავალსა, ძვირფასსა განსვენებულსა? ვისურვოთ, რათამცა Oფალი მოექცეს მასს საკუნო ცხოვრებასა შინა ისე, როგორც იგი მოექცევა ყოველთა მისთა მოყვარეთა. Oფალმა ცოდვილს, რომელიც მოვიდა, დალტომად ტრემლითა ფერხთა მისთა ჲ თმითა თავისა მისისათა წარხოცდა ჲ ამბორს უყოფდა ფერხთა მისთა ჲ სცხებდა ნელსაცხებელსა (ლუკ. ზ—ლმ), მიუტევა მასს ცოდვანი მრავალნი, რამეთუ მან შეიყვარა იგი ფრიად (ლუკ. ზ—მზ). და მიუტეოს Oფალმა Iმერთმა განსვენებულსა მის მონასა თავადს გრიგოლს ყოველივე შეცოდებანი, ნებსითი და უნებლიეთი, იმ სიყვარულობითა Iვთისადმი და მოყვასისა, რომლითაც აღვსილი იყო სული მისი... Iვთის მოყვარეა იმ სოფელში, სადაც სარწმუნოება და სასოება იცვლებიან პირის-პირ Iვთის ხილვითა და სანატრელი გამოცხადებითა და სადაც უმეტესად ფასობს და საუკუნოთ დამყარებულ არს სიყვარული—დაამყაროს Iმერთმა, ყოველად მოსიყვარულე განსვენებული, საკანესა შინა სახლსა თვისსა ზეცათასა.

Pვმადლობდეთ Oფალსა Iმერთსა მისთვის, რომ მან მოუვლინა ჩვენს მხარეს ამისთანა მოსიყვარულე და მშვიდობის მყოფელი პირი, როგორიც იყო განსვენებული ჩვენი თანა მოძმე თავადი გრიგოლი. ვმადლობდეთ Oფალსა Iმერთსა მისთვის, რომ მან არ წარიტაცა იგი ჩვენგან ადრე, არამედ მიანიჭა მასს ცხოვრება მრავალ ქამიერი და მასთანავე ძალა და შეძლება დაშთენად ყოველთვის შეუცვლელად და შესრულებად ყოველთა კეთილთა და დიდებულთა საქმეთა სადიდებლად Iვთისა და სასიკეთოდ მოყვასთა. იყავნ სახელი Oფლისა კურთხეულ, ამიერიდგან და უკუნისამდე! ამინ.

ძველი მწერლობა.

„გვირგვინი.“

ჩერეთ ნორჩის გონების მოქმედებაში უალრესი ადგილი უჭირავს ფანტაზიას, რადგან გონების ნიჭთ შორის ის ადრე იხსენება. ფანტაზია, აღძრული ბუნებით ცნობის მოყვარეობით, სთხზავს ცნობის (сознаніе) შინაარსიდგან, მასში მონაპოვ მასალიდგან სურათებს. რომელთაც თითქმის მოუკლებელად,—რადგან დამკვირვებელი და გამომკვლევი ძალა ჯერეთ არ არის სრულ თავის მოქმედებაში,—იღებს რწმენა. ფანტაზია და რწმენა არიან ის ძალანი, რომელნიც დასაწყისში მფლობელობენ კაცის სულში. ფანტაზია ცნობაში ჰპოვებს, სხვათა შორის, რელიგიურ ლტოლვილების დასაკმაყოფილებლად დანიშნულს მასალას და ამ მასალასაც, ამ ზენარე მონაბერ ჭეშმარიტებასაც ახორციელებს შესაფერ სურათებში და მათზე, როგორც ნიადაგზე, ამოჰყავს სხვა სურათებიც დასაკმაყოფილებლად ამ საგანზე მიმართულის ცნობის მოყვარებისა. მხოლოდ რელიგიური ჭეშმარიტებანი, როგორც არა ადვილად ხელშესახებნი, უფრო მცირედ ექვემდებარებიან ფანტაზიის ზედგავლენას: გამომხატველობა მათზე და მათ გარშემო აშენებს თავის სურათებს, თვით ჭეშმარიტებებს-კი ეხება და არღვევს შედარებით მცირედ. ამ დროს და ამ ნაირად ჩნდებიან რელიგიური მითები, რომელნიც შეადგენენ ერთ მარჯვე საშუალებათაგანს მათდამი არსების მიმცემთ და მათში განხორციელებულთ ჭეშმარიტებათ ხალხში გავრცელებისას, რადგან უმეტესობა საზოგადოდ სდგას გონებითი განვითარების იმ წერტილზე, სადაც უფლობენ ფანტაზია და რწმენა, რის გამოც იგი ადვილად ითვისებს და ინახავს მათ ნაწარმოებს.

ერთი ამ გვარი თხრობათა კრება, რომელიც შეიცავს მითებში განხორციელებულთ დოღმატიკურ და ზნეობითი ზოგიერთ სწავლათა, ჩაგვიარდა ჩვენ ხელში. ამ კრებულს ეწოდება „გვირგვინი, რადგანაც „ვითარცა გვირგვინი პატიოსანი შემკობილ არს მრავალ-ფერთა ნივთთა და თვალ-მარგალიტთა მიერ, ეგრეთვე ესე გვირგვინი სულისა შეწყობილ არს და მკობილ მრავალთა კეთილ-თხრობათა მიერ.“

„გვირგვინი“ შეიცავს თვის შორის ხუთ თაეს „მგზავსთა ხუთ სამგრძნობელთა ჩვენთა, რომელნი იპოვებიან თაესა შორის ჩვენსა“ და არს „ღვთივ-შეენიერთა“ თხრობათა ამათ რიცხვი ასი.

ჩვენ თითქმის არავითარი ისტორიული ცნობები არა გვაქვს ამ ჩვენის ძველის მწერლობის ნაშთზე. მხოლოდ ვეცდებით, რაც შეიძლება მთლად და მოკლედ გადმოგცეთ მისი შინაარსი.

ბიგნი იწყობა თხრობით, რომელიც განმარტებს წირვაზე შენაწირავის ზღვნის ბუნებას: ვინმე ბერს, გაემზადა რა იგი ერთ გზის ჩვეულებისამებრ წირვაზედ წასასვლელად, „ჰრქვა გულის სიტყვამან, ვითარმედ არა არს ხორცი და სისხლი უფლისა, რომელსა იგი მიხვალ ზიარებად.“ ეჭვით შეპყრობილი ბერი მზა იყო შერყეულიყო თვის რწმენაში, როდესაც განიკურნა ეჭვნეულობისაგან „ძალისა მიერ ზეცით მოსრულისა:“ მან, ეკლესიაში მდგომმა, იხილა „ცანი განხმულნი და ცეცხლი ზეცით გარდმომავალი და შემდეგ ცეცხლისა სიმრავლე ანგელოსთა და შორის მათსა სხვანი ორნი პირნი ფრიად მშვენიერნი... და შორის ორთა მათ პირთა დიდებულთა მჯდომარედ ყრმა მცირე... ორნი იგი პირნი წარჩინებულნი აღხდეს ზედა და ყრმა იგი სამეუფო შთაისვეს შორის მათსა ზედა წმინდასა ტრაპეზსა,“ და ოდესაც შეეხნენ მღუდელნი წმინდასა მას პურსა განტეხად, ამ პირთ „დაჰკლეს ყრმა იგი და სისხლი მისი შთაასხეს ბარძიმსა შინა, რომელი იგი სდგას ძმინდასა ზედა ტრაპეზსა, ხოლო ხორცი მისნი დაჰსჭრნეს და დააგეს ზედა პურსა მას და იქმნა პურიცა იგი ხორცივე“ და მოზიარეთ „მიეცემოდა ხორცი და ოდეს ხადიან სახელი უფლისა და სთქვიან ამინ, კვალად იქმნის ხორცი იგი პურად ხელთა შინა მათთა.“ საიდუმლო ხმა აუხსნიდა ეჭვნეულს ამ მოვლენას: „უკეთუ ძალ-ედვა კაცსა ხორცისა ჭამად, ხორცთამცა ჩვეთისა იპოვებოდა წმიდა საიდუმლო...“ (თხ. ა, ბ.) ამ გვარად წმიდა ტრაპეზზე წირვის დროს იმეორება სხვა სახით თვით გოლგოთის მსხვერპლი,—იმეორება იმ განსხვაებით, რომ გოლგოთაზე შეიწირა მსხვერპლი საერთო, ხოლო ტრაპეზზე შეიწირვის ზღვენი კერძო (თხ. ბ.)

ჯალა, რომელიც შესცვლის წირვაზე შენაწირ ზღვენს სისხლად და ხორცად ესო ქრისტესა და მით აძლევს მას ამისთანა დიდ მნიშვნელობას, არის სული წმიდა, გადმომავალი ზეცით საიდუმლოს აღსრულების დროს, რაიც კიდეც იხილვების ღირსთაგან (თხ. იგ, ვ.) ცხადია, რომ მიმახლებელთ ამისთანა უაღრესს სიწმინდისადმი ჰხამთ ზნეობითი სიწმიდე; მართალია, რადგან ზიარებაში პური და ღვინო იცვლება სისხლად და ხორცად იმისა, რომელიც არს ნათელი ჭეშმარიტი, ამისთვის ის განანათლებს მისდამი მიმახლებელთა და მის შემწირველთა და შეჰმოსავს მათ ზეციური ნათლითა, „ვითარცა სამეუფოჲთა ბრწყინვალითა სამოსლითა,“—მაგრამ ეს მაშინ როდესაც შემწირველი ღირსია ამ ნათლისა.

წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყოველად წმ-და ნათელი, როგორც ესეთი, უარ ჰყოფს შემწირველის ზნეობითი სიბნელეს, რომელიც ამის გამო ვერ ეხება და ვერ ამღერეს მას: მსხვერპლს არა რაჲ შეეხება ულირსი შემწირველისაგან. ამ უკანასკნელის ულირსოება ვერ დაამცირებს მის ძალას, ვერ შესცვლის მის ბუნებას. მართლადაც, წარმოიდგინეთ „ჯურღმული ოქროჲისა და სამელი ოქროჲსა და წყალი წმიდა და რჩეული, ხოლო ამომღებელი კაცი უშვერი... რაჲ ბიწი შეეხების წყალსა მას წმიდასა ამომღებელისაგან უშვერისა?“—არა რაჲ. (თხრ. დ, ე, ივ.) მსევე უნდა ითქვას, რასაკვირველია, ყველა საიდუმლოების აღსრულებაზე, რადგან მათშიც მოქმედობს, თუმცა სხვა-და-სხვა გვარად, ერთი და იმავე წყაროდან გამომავალი ძალა. (თხ. თ.).

Ცუმცა სიწმიდეს არა რაჲ შეეხება ულირსი შემწირველისაგან და, მაშასადამე, იგი სხვათა არა რას ავნებს, მაგრამ რადგან სიწმინდისადმი უწმიდურის მსახურება შესაბამი არ არის, ამისათვის არა არს საკადრისი, რომ მამაკვდინებელ ცოდვაში ჩავარდნილი ეკლესიის მსახური წარმოსდგებოდეს „შეწირვად და მსახურებად სიწმინდისა. ეკლესიაც უკრძალავს ამისთანას საღმთო მსახურებას: ის განაყენებს მას და თუ განყენებული ეკლესიის მსახური მაინც კიდევ შეუდგა რომელიმე საიდუმლოს აღსრულებას და მით „დათრგუნა სინიდისი თვისი და კანონი ღვთისა შეურაცხ ჰყო,“ მაშინ ის მაინც არ ითვლება აღმასრულებლად სიწმიდისა (თხრ. თ.) განყენებას აქვს განყენებულზე ძალა მაშინაც, თუნდაც რომ განყენებულმა იწამოს ქრისტესთვის და მას, როგორც განყენებულს, არა ძალ აქვს არცა მეოხებად, არცა ხილვა პირი ქრისტესა, მინამ ეკლესია კვალად არ გახსნის მას,—მოქმედება, რომელიც შეუძლიან მხოლოდ შემკვრელს; ხოლო გამყენებელის სიკეთილის შემდეგ ეკლესიის კრებულთ საიდუმლო თანადასწრობით და თანადგომით მიცვალებულისა, რაიც შესაძლოა, რადგან განსრულნი ამა სოფლიდამ წმინდანნი არ შესწყვეტენ სრულიად კავშირს ამ სოფელთან და ზედგავლენას აქაურ ცხოვრებაზე არამც თუ მხოლოდ ლოცვით და Ivთის წინ შუამდგომლობით, არამედ თვისი პირადი მოქმედებითაც (თხ. ი, ია).

ვ. ბარნოვი.

გაგრძელება იქმნება.

საიდგან მიიღეს მღვდლებმა უფლება კურთხევის მიცემისა და რა მნიშვნელობა აქვს მათ კურთხევას?

ძველ აღთქმაშიც იყო დაწესებული Ivთისგან მღვდელობა, რომელსაც მისცა უფლება, რათა ემსახურონ Ivმერთსა, იმღვდლონ და მისცონ ლოცვა-კურთხევა მორწმუნეთა Ivთის სახელით. როგორ უნდა ეკურთხებია აროონს და მის მოადგილეთა ხალხი, ეს განსაზღრული იყო თვით Ivთისგან. რქვა მოსეს Ivმერთმა: „ეტყოდე აროონს და ძეთა მისთა და არქვთ მათ: ესრეთ აკურთხევდით ძეთა ისრაელისათა და არქვთ მათ: და დადვან სახელი ჩემი ძეთა ზედა ისრაელისათა და მე Oჰფალმან ვაკურთხნე იგინი“ (რიცხ. ვ. კგ—კზ).

Iესო ქრისტემ, როცა დააწესა მღვდელობა, მიანიჭა მათ უფლება მორწმუნეთა კურთხევისა. ხილული ნიშანი თავისი კურთხევისა ჰაცხოვარმა გვიჩვენა ყმაწვილებზე, როცა დაასხმიდა მათ ზედა ხელთა ჯ აკურთხევდა მათ (მარ. 10—16). თავის ზეცად ამაღლების დროს Oჰფალმა აღიპყრნა ხელნი თვისნი ჯ აკურთხნა მორწმუნენი, რომელნიც მასს გარს ეხვიენ. ამ სახედ აკურთხევდნენ მოციქულნი და მათი მოადგილენი მორწმუნეთა. მაგრამ ხელის დასხმა მალე შეიცვალა ჯვარის გამოსახვით. ამფერი კურთხევა გადმოგვეცა ჩვენ სამღთო-ზეპირ-მოთხრობით. წმიდა ვასილი დიდი ამბობს: ვაკურთხებთ ნათლის ღების წყალს და ზეთს და თვით მოსანათლავ პირს სამღთო ზეპირ-გადმოცემისა მებრ.

ჰღვდლის კურთხევას აქვს თავის სულიერი მნიშვნელობა. ქრისტემ, როცა აკურთხა თვისნი მოციქულნი, რქვა მათ: მიიღეთ ძალი მოსვლასა სულსა წმიდისასა თქვენ ზედა (საქ. წმ. მოც. ა—Ი). ამ სახითვე როცა მღვდელი Ivთის სახელით მისცემს ვისმეს კურთხევას, მაშინ იწოდებს მას ზედა Ivთის ძალას, გამწმენდელს, შემწეს, დამფარველს და ნუგეშინის მცემელს. თუ როგორ იმოქმედებს ეს ძალა კაცზე, ეს დამოკიდებულია კურთხევის მიმღების სარწმუნოებაზე. დიდად შესანიშნავია, რომ უწინდელ დროში ხალხი გულ-მხურვალედ მიდიოდა მღვდელთან ლოცვა კურთხევის მისაღებად. თვით მეფეები და თავადნი, ამბობს ამბროსი მედიოლანელი, მუხლ-მოდრეკით ღებულობდნენ მღვდლებისგან კურთხევას და ჰკოცნიდენ მათ ხელზე, რათა მათი ლოცვა შეწეოდათ მათ. *) მინც მიდის მღვდელთან

*) ასე იყო წინეთ. დღეს, როცა, სამწუხაროდ, მეტად დაცემულია ზნეობა ხალხთა შორის, არა თუ ხალხი არ მიეგებება მოძღვართა თვისთა ამბორებად ხელთა, არამედ ზოგიერთნი

ლოცვა-კურთხევის მისაღებად, ის პატივსა სცემს მღვდლის ხარისხს. და ვინც პატივსა სცემს მღვდლის ხარისხს, ის ამით პატივსა სცემს ᲛᲛერთსა, რადგან მღვდელობა დაწესებულია თვით ᲛᲛვთისგან. სამღთო წერილში არის ნათქვამი: „ყოველითა გულითა შენითა აკურთხე ᲝᲮფალი და პატივი ეცი მღვდელსა“. ამ სიტყვებს წმიდა ᲠᲥრო-პირი განმარტებს ამ ფრად: ვინც პატივს სცემს მღვდელსა, ის ამით პატივსა სცემს ᲛᲛერთსა; ვინც შეიძულებს მღვდელს, ის ერთ დროს იქამდისინაც მივა, რომ შეურაცხ ჰყოფს თვით ᲛᲛერთსა. რაც უნდა ცუდი ყოფა-ქცევის იყოს მღვდელი, მაინც, რიგია, პატივი ვსცეთ მასს და ᲛᲛერთი, როცა დაინახავს, რომ მისი პატივის ცემისთვის, პატივსა ვსცემთ უღირს, მაშინ თვით იგი მოგვანიჭებს ჩვენ ჯილდოს.

ვედრება ღვთის-მშობლისადმი.

Ყოვლად ნეტარო, მარად ქალ-წულო,
Ჯაცხოვრის ჩვენის Იესოს დედავ,
შენ დაიფარე ეს საქართველო,
მადლი მოჰფინე ზეცის მაზედა.
იშუამდგომლე შენის ძის წინა,
რათა მოხედოს ივერს წუალობით,
და ქართველ ერის გულისაგანა
ბოროტებანი აღმოფხვრას ფესვით.
რათა განმტკიცდეს სარწმუნოება,
ბიწიერებით დასუსტებული,
რათა კვლავ აღსდგეს პატიოსნება,
ძმობა, ერთობა და სიყვარული;
რათა სიმართლე მაში მეფობდეს
და ის ქართველ ერს თვისს სხივთა ჰფენდეს,
რომ ყოველ კაცსა თავისი მოძმე,
ვით თვისი თავი, ისე უყვარდეს;
რათა ევლტოდნენ კეთილს საქმესა,
ერთმანეთს მაში ხელს გაუწყობდნენ
და თუმცა ერთი იქმს სიცუდესა,
სხვანი მას სრულად არ მიბაძვიდნენ.
რომ ყოველს თვისი ზეშმარიტება
მტკიცედ გულშია ჭქონდეს დაცული,
სძულდეს მარადის ბიწიერება
და მას ებრძოდეს თავ-განწირული.

ზნეობით დაცემულნი თვალს არიდებენ მათ და უბედურების ნიშნად სთვლიან მღვდლის დანახვას! ვინმე მოსამსახურე ლოთი, ზარმაცი და მოქრთამე, ვსთქვათ, შეხვდა მღვდელს, როდესაც მიდიოდა სამსახურში; მან დაიგვიანა გზაზე და შეჰყვა ლოთობას. შემდეგ, როცა მიდის სამსახურში, მას დაგვიანებისთვის უმფროსი უწყრება და შენიშვნას აძლევს. ამ უბედურ მის შემთხვევას, ხშირად ესეთი კაცი, მიაწერს მღვდლის შეხვედრას და არა თავის დაცემულ ზნეობას და სიუგნურეს.

მაშინ, დედაო ᲛᲛვთისავ, ქართველნი
შენ გადიდებენ გულითა წრფელნი,
რომ მათ ასცდებათ სიცოცხლეშია
სევდანი მათის გულის-მომწყვდელნი.

ილ. ფერაძე.

ნარევი

ფრანციაში ერთ კვირას სალდათი შევიდა ეკკლესიაში წირვის მოსასმენად და თან შეიტანა სათამაშო ბანქოს ქაღალდი, რამელსაც დაუწყო შლა. ეს შენიშნა ერომა აფიცერმა; მივიდა სალდათთან და უბრძანა ბანქოს შენახვა, მაგრამ სალდათმა მას ყური არ ათხოვა და მაინც ქაღალდს შლიდა. როცა წირვა გათავდა, სალდათმა ქაღალდი შეინახა, და, როცა სახლში აპირებდა წასვლას, აფიცერმა დააჭერია ის და წარუდგინა თავის უმფროსს და მოახსენა სალდათის საქციელი ეკკლესიაში. სალდათმა იწყო თავის მართლება: „ეს ჩემი აფიცერი მთელი დღე თამაშობს ქაღალდს, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ იცის; მე რადგან მცირე დამაგირი მეძლევა, ერთი ლოცვანი და კალენდარი ვერ მიყიდია, ამიტომ ვსარგებლობ სათამაშო ქაღალდის მნიშვნელობით. აი, დავხედავ ტუზსა, რომელიც მომაგონებს ერთსა ყოვლის შემოქმედსა ღმერთსა. ორიანი და სამიანი მომაგონებენ გვამოვნებათა ღვთისათა, ოთხიანი წარმომიდგენს ოთხთა მახარებელთა. ხუთიანი ნიშნავს ხუთთა ბრძენთა ქალწულთა, ხოლო ხუთიანი სხვანი ხუთთა სულელთა ქალწულთა. ექვსიანი მომაგონებს დღესა მეექვსესა ქვეყნის შექმნისა. შვიდიანი — დღესა მეშვიდესა კვირიაკესა განსვენების დღესა. რვიანი მომაგონებს რვათა მართალთა სულთა, რომელნიც წარღვნის დროს გადარჩენ ნოესთან კიდობანში. ცხრიანი მომაგონებს ცხრათა უმადლოთა კეთროვანთა, რომელნიც განიკურნენ სენისაგან ქრისტეს მიერ, მაგრამ არ მივიდნენ მადლის მიცემად ქრისტესსა. ათიანი—ათთა მცნებათა უფლისათა, რომელნიც მისცა ღმერთმან მოსეს მთასა ზედა. ქალი წარმომიდგენს ცხოველსა სურათსა ასურეთის დედოფლისასა, რომელიც მოვიდა კიდიდგან ქვეყანისა მოსასმენად სოლომონის სიბრძნისა. ხელმწიფე მომაგონებს პატივის-ცემასა და ხელმწიფის მორჩილებასა და ყოველთა მეუმფროსეთა ჩვენთა“.

როცა ეს ყველა მოისმინა მაიორმა სალდათისაგან, ჰკითხა მას: „ყველა ესენი კარგად ჩამოთვალე, მაგრამ სალდათზე კი არა გითქვამს რა“. ამაზე სალდათმა მიუგო მაიორს: „როცა სალდათს დავხედავ, მასში მე ვსცნობ ჩემს თავს და სულს და ამასთანავე წარმოვიდგენ ჩემს მოვალეობას და ერთგულებას ხელმწიფისადმი“.

გარდა ამისა, დაუმატა სალდათმა, მე კარტის მნიშვნელობით კიდევ სხვანაირად ვსარგებლობ: „მთელ სათამაშო ქაღალდს აქვს სამას სამოცდა ხუთი ხალი, აგრეთვე წელიწადსა აქვს 365 დღე; რიცხვით ბანქო არის 52, აგრეთვე წელიწადსა შინა არის კვირიაკე 52; ოთხი ფერი სათამაშო ქაღალდისა მომაგონებს ოთხთა დროთა: გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას და ზამთარს და ოთხთა მხარეთა ქვეყანისათა“. ასე გამართლა თავი სალდათმა. რა კაი იქმნებოდა, რომ ეხლაც ამისთანა მნიშვნელობას აძლევდნენ სათამაშო ქაღალდს ზოგი ყმაწვილები.

განცხადებანი.

ისყიდება, პირველად შედგენილი ქართულს ენაზედ სახალხო სამკურნალო წიგნი, **კარაბადინი** შედგენილი მ. დ. ღამბაშიძის-მიერ.

ეს **კარაბადინი** განიყოფება ოთხ ნაწილად: პირველ ნაწილში არის მოყვანილი სწავლა კაცის ტანის აგებულებაზედ და ცხოვრებაზედ. მეორე ნაწილში არის მოყვანილი გიგიენური დარიგება და სწავლა ჯან-მრთელობის დაცვაზედ. მესამე ნაწილში არიან აღწერილნი სხვა-და-სხვა შინაგანი და გარეგანი სნეულებანი და მათი წამლობა. მეოთხე ნაწილში არიან აღწერილნი წამლები, მათი მომზადება, მოქმედება და ხმარება. ბოლოს, დამატებაში არის მოყვანილი მოწამელისაგან ავათ გამხდარი კაცის ნიშნები და სხვა-და-სხვა საშუალებაები ავათმყოფის მოსარჩენად.

ეს წიგნი ყველასათვის საჭირო და სასარგებლოა. ბევრს შეუძლია სხვა გაჭირვებულ ავათ მყოფებსაც საშუალება აღმოუჩინონ. ამისთანა პირებში პირველი ადგილი უკავიათ სოფლის პრიხოდის მღვდლებს, რომელნიც ყველაზედ ნამეტნავად არიან დაახლოებულნი სოფლის ხალხთან.

წიგნის ფასი ყველგან გაგზავნით ყდიანი ღირს **მანეთად**.

ამ წიგნის ყიდვა შეიძლება:

ქ. **თფილისში**, ბრიკუროვის და შაევრდოვის წიგნების მაღაზიებში. **გორში**, ბორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ პ. ბურჯანაძესთან. **სურამში**, დიაკონ თადეოზ შველიძესთან. **ქუთაისში** მურადოვის და ჭილაძის მაღაზიებში. **დაბა საჩხერეში**, მასწავლებელ ყარამან ჩხეიძესთან. **დაბა ზუგდიდში**, ბლაღოჩინ დეკანოზ მეუნარგიასთან. **დაბა ოკრიბაში**, სოფლის სკოლის მასწავლებელ იასონ, ქაპანაძესთან. **დაბა ლაილაშში**, ბლაღოჩინ ილარიონ ბერსამიასთან.

შეიძლება ამ წიგნის დაბარება „**მწყემსის**" რედაქციიდამაც.

ყველა ზემოხსენებულ ადგილებში შეუძლიათ ყიდვა მსურველთა; **მღვდლებთათვის სახელმძღვანელო წიგნისა**, რომელსა შინა არის სხვათა შორის დარიგება საეკლესიო საბუთების შედგენაზე. ეს უკანასკნელი წიგნი იყიდება თითო **ოთხ აბაზად**.

იბეჭდება და ცოტა ხანში გამოვა

ლოცვანი

მეორე გამოცემით და დამატებით.

შედგენილი მღ. დ. ღამბაშიძის მიერ.

ბოლო

ბოგორც ქალაქებიდამ, ისე სოფლებიდამ ეკლესიის კანკელებს და კიოტებს გასაკეთებლად. **ყოველ** საქმეს შეეასრულებ **რიგიანათ** და **პირიანათ**.

ჩემი ქარხანა იმყოფება ქ. **თ**ფილისში, **სა**პერნის ქუჩაზედ, **ა**ლექსანდროვის **სახლ.**, **№8**.

კანკელისა ⅆ მებელის ოსტატი

დავით გიგაური.

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

საქართველოს

მოკლე ისტორია

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კოპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (**Тифлисъ Михайлов. ул., № 42 Георгію Давидовичу Картвелову**) დაიბარებს არა ნაკლებ **20** ეკზ., იმას წიგნი დაეთმობა **50** კეპეიკად.

ამ წიგნის დაბარება შეიძლება „**მწყემსის**" რედაქციიდამაც.

მოკლე დროში **წიგნი** გაიგზავნება **საქართველოს** უმთავრეს **ქალაქებში**.

Дозв. цензурою Кутаисъ, 15 Іюня 1884 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფლბეჭდავი ზედგინიძისა ⅆ ფერაძისა.